განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
8 თებერვალი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
22 მარტი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
განათლების საფეხური	მეექვსე (უმაღლესი განათლების პირველი) - ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფილოლოგიის ბაკალავრი (1005)
სწავლების ენა	ქართული (ნაწილობრივ ინგლისური კომპონენტით)
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ფარჯანაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ბაკარაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე ძაგნიძე, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა მოიცავს ინგლისური ფილოლოგიის დარგში სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს და მათი შინაარსი და მოცულობა, ასევე ფორმატი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს (სასწავლო კურსების შინაარსი დეტალურად არის განხილული სტანდარტში 2.3.); ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებს ეთმობა 174 კრედიტი - სპეციალობის ძირიდათი სასწავლო კურსებზე გამოყოფილია 150 კრედიტი, რომელშიც შედის საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და მას ეთმობა 12 კრედიტი; 24 კრედიტი კი ეთმობა მეორე ევროპული ენის შესწავლას, რომელიც არის პროგრამის არჩევითი კომპონენტი. პროგრამაში თავისუფალ კომპონენტზე გამოყოფილია 6 კრედითი, ხოლო დანარჩენი მოცულობა (60 კრედიტი) ეთმობა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამის მიზანში გაწერილია, რომ დამატებითი სპეციალობის სახით მასწავლებლის მომზადების პროგრამის არჩევისა და დასრულების შემთხვევაში ბაკალავრს ეძლევა პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ფლობს დარგის შესაფერის კვალიფიკაციას. რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელს, იგი არის ინგლისური ფილოლოგიის დარგის პროფესიონალი, სიღრმისეულად ერკვევა დარგის სპეციფიკაში და აქვს ნათელი ხედვა, რომლის მიხედვითაც ახორციელებს პროგრამის ფორმირებასა და მართვას, რაც შეესაბამება დარგის სპეციალისტების მიერ საჯაროდ აღიარებულ მოთხოვნებსა და მოლოდინს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს საქართველოს უნივერსიტეტში 2019 წლის 8 თებერვალს განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ვიზიტი განხორციელდა დაგეგმილი განრიგის მიხედვით და აკრედიტაციის ჯგუფი შეხვდა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს - უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში წინასწარ შეთანხმებული განრიგის მიხედვით. აკრედიტაციის ჯგუფმა ასევე დაათვალიერა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექტნიკური ბაზა; შემოწმდა ბიბლიოთეკა პროგრამაში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. ასევე შემოწმდა ელექტრონული პორტალი და ელექტრონული სამეცნიერო თუ აკადემიური ბაზები. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბუთების შესწავლისა და ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით; წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია ან მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან:

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1.1. პროგრამის მიზანი მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მასწავლებლის მომზადების დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების შესაძლებლობის ნაწილში.

1.2. აუცილებელია ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურის გადახედვა, რადგან საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ განხორციელებული ცვლილების გამო პროგრამას არ შეუძლია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება წარმოდგენილ ფორმატში. იგივე რეკომენდაცია ეხება **2.2.** სტანდარტს. აუცილებელია პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების გამსხვილება, რაც შესაძლებელს გახდის უფრო დაკონკრეტებული სწავლის შედეგებისათვის გაზომვის ეფექტური მექანიზმების დაგეგმვასა და ადმინისტრირებას. აუცილებელია ინგლისურ ენაში სტუდენტის C1 ენობრივი კომპეტენციის C1 მიღწევის შესაძლებლობის გაანალიზება.

2.2. აუცილებელია, გადაიხედოს სასწავლო კურსების მოცულობა და თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს მიენიჭოს განსხვავებული კრედიტები.

2.3. აუცილებელია კვლევის რაოდენობრივი მეთოდის სასწავლო კურსის მოდიფიცირება, რადგან ამჟამად შეთავაზებული კურსი არ ასახავს ინგლისური ფილოლოგიის დარგის სპეციფიკას.

3.1. რეკომენდებულია გაღრმავდეს საერთაშორიოსო თანამშრომლობა, რაც აისახება გაცვლით პროგრამებში სტუდენტების უფრო აქტიურ მონაწილეობაზე.

4.2 სკოლაში განხორციელებული სასწავლო კურსისა და ლექტორების შეფასების შემუშავების, ანალიზისა და შედეგების გაცნობის პროფესში მონაწილეობდეს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური; გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა სამეცნიერო კუთხით განვითარებისა და მათი ინტერნაციონალიზაციის პროცესებში სრულფასოვნად ჩართვისთვის.

5.3 აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფისა და იურიდიული სამსახურის პროგრამის ხელმძღვანელთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, რათა მოხდეს პროგრამის

ხელმძღვანელის ინფორმირება კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.1. სასურველია, პროგრამის მიზნების ფორმულირების პროცესი ეყრდნობოდეს ბაზრის კვლევისა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონტექსტში არსებული ანალოგიური პროგრამების შედარების (ე.წ. ბენჩმარკინგის) კონკრეტულ დოკუმენტს.

1.2. სასურველია პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების გამსხვილება, რის შედეგადაც შემცირდება მათი რაოდენობა და ეს კი შესაძლებლობას მისცემს პროგრამის ხელმძღვანელს უფრო ეფექტურად იმუშაოს სწავლის კონკრეტული შედეგის შეფასებაზე, გაზომვაზე და საჭიროების შემთხვევაში სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად აუცილებელი სტრატეგიის შემუშავებაზე. ასევე, სასურველია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგი ინგლისური ენის ფლობის ენობრივი კომპეტენციის კუთხით, თუ რამდენად რეალურია C1 ენობრივი კომპეტენციის მიღწევა.

2.1. სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით მეტი გამჭვირვალობის მიზნით სასურველია, მინიმალური ენობრივი კომპეტენციის დონე მითითებული იყოს პროგრამაში, რათა დაინტერესებულ მხარეებმა უფრო იოლად შეძლონ ამ კონკრეტული ინფორმაციის მოძიება.

2.2. სასურველია პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის გადახედვა მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული სპეციფიკის გათვალისწინებით. სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსების მოცულობა და თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს მიენიჭოს განსხვავებული კრედიტები. სასურველია თავისუფალი კომპონენტის მოცულობის გაზრდა, რაც უფრო მოქნილს გახდის პროგრამას. რაც შეეხება პროგრამის მეშვეობით მინიჭებულ კვალიფიკაციას, შეიძლება მისი დაკონკრეტება - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში.

2.3. სასურველია კრედიტების გადანაწილების მიდგომის გადახედვა. ასევე, სასურველია შეფასების კომპონენტების, სისტემისა და მეთოდების გადახედვა, რათა სტუდენტის შეფასება გახდეს უფრო მოქნილი, გამჭვირვალე და ობიექტური.

2.4 სასურველია, სასკოლო/საველე/სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის დამატება პროგრამაში; სასურველია მემორანდუმებში სტუდენტების რაოდენობის და მემორანდუმის მოქმედების ვადის დაკონკრეტება, რათა პგორამის დაგეგმვის პროცესში მოხერხდეს პრაქტიკის ყველა კომპონენტის წინასწარ დაგეგმვა და გათვალისწინება.

2.6. სასურველია მასალის გამოკითხვის ნაირფეროვანი მეთოდის გამოყენება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ წერილობით, არამედ ზეპირ გამოკითხვას.

3.1. სასურველია კონსულტაციის დრო და ადგილი ასახული იყოს სილაბუსებშიც.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

✓ პროგრამაში კარგად არის ფორმულირებული ინგლისური ფილოლოგიის დარგის ინტერდისციპლინური ხასიათი და პროგრამის მიზნებიც ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული ინტერდისციპლინური პერსპექტივის ჭრილში.

✓ პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს TOEFL-სა და IELTS-ის გამოცდებისათვის მოსამზადებელ გამოცდებს, რაც პროგრამის სწავლის შედეგების თვალსაზრისით ღირებულია პრაქტიკაა და სტუდენტს აძლევს მეტ შანსს როგორც დასაქმების, ასევე პროფესიული განვითარების კუთხით.

✓ ასევე, დადებითი პრაქტიკაა ცალკეულ სასწავლო კურსში ჩაჭრილი სტუდენტების გამოკითხვა, რაც მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესისათვის - რამდენად რეალისტურია ცალკეული სწავლის შედეგი და ასახავს თუ არა იგი საშუალო ტუდენტის შესაძლებლობას

✓ სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით ფაკულტეტი ქმნის ტესტებისა და დავალებების მონაცემთა ბაზას, რისი მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ დამოუკიდებლად იმუშაონ საკუთარ თავზე და მიიღონ დამატებითი პრაქტიკა. ბაზა განსაკუთრებით ეფექტურია, რადგან იგი იქმნება განვილილი მასალის შესაბამისად, რაც მას განასხვავებს ონლაინ რესურსებისაგან, რასაც უხვად გვთავაზობს სხვადასხვა გამომცემლობა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია და უმეტესწილად მიღწევადია პროგრამის სასწავლო გეგმისა (კურიკულუმის) და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით. პროგრამაში ხაზგასმულია ინგლისური ფილოლოგიის სფეროს ინტერდისციპლინური ხასიათი და მის შესაბამისად, განსაზღვრულია როგორც კურსდამთავრებულის საქმიანობის სფერო, ასევე კურსდამთავრებულისათვის საჭირო ცოდნა, უნარები და კომპეტენცია. პროგრამის მიზნებში ხაზგასმულია, რომ კურსდამთავრებული, მისი ცოდნისა და კომპეტენციის კვალდაკვალ, შეძლებს, იმუშაოს ინგლისური ფილოლოგიის სფეროში, ასევე დასაქმდეს მომიჯნავე სფეროებში, სადაც საჭიროა ინგლისური ენის კვალიფიციური მცოდნე, რომელიც იცნობს არამარტო ჰუმანიტარულ სფეროში გამოყენებულ, არამედ სოციალური მეცნიერებების ცნებებსა და ტერმინებს; ასეთი სფეროებია ბიზნესი, პოლიტიკა და სამართალი. პროგრამა მიზნად ისახავს, სტუდენტს მისცეს დარგისათვის აუცილებელი პრაქტიკული ცოდნა (მაგ. ინგლისური ენის პრაქტიკული სასწავლო კურსები), ასევე განუვითაროს საბაკალავრო დონის შესაბამისი ცოდნა და კვლევის უნარ-ჩვევები (მაგ. ენათმეცნიერების შესავალი, შესავალი ფილოლოგიაში, ინგლისური ენის სტილისტიკა, ინგლისური ენის ლექსიკოლოგია, ინგლისური ლიტერატურა და ა.შ. სასწავლო კურსები), რაც ღირებულია არა მარტო ინდივიდუალური სტუდენტის პროფესიონალად ფორმირებისა და მომავალი დასაქმებისათვის, არამედ ზოგადად, დარგის განვითარების თვალსაზრისით. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების სინთეზს; პროგრამა მოიცავს ინგლისური ფილოლოგიის დარგში სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს და მათი შინაარსი და მოცულობა, ასევე ფორმატი უმეტესად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს (რიგ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით გვაქვს გარკვეული მოსაზრება, რომელსაც განვიხილავთ 1.2 სტანდარტში, ასევე მე-2 სტანდარტში). პროგრამა სრულ შესაბამისობაშია უსდ-სა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის მისიასთან, რომელისც აქცენტს აკეთებს ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებაზე, ინოვაციური მიდგომებით

სწავლებაზე, ცოდნის მუდმივი განახლების, შეძენილი ცოდნისა და უნარების მეშვეობით დასაქმებასა და ქვეყნისა და დარგის განვითარების პროცესში მონაწილეობის აუცილებლობაზე.

პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები და ასევე გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა; უსდ-ს პროგრამის ხელმძღვანელს სრულად აქვს გააზრებული როგორც დარგის, ასევე დასაქმების თავისებურებები, თუმცა ბაზრისა თუ დასაქმების სპეციფიკის კვლევა არ არსებობს ფორმალური დოკუმენტის სახით.

პროგრამა ითვალისწინებს მოცემულ ეტაპზე დარგის სპეციალისტების ზოგად შეთანხმებას დარგის სპეციფიკასთან დაკავშირებით როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. პროგრამაში ასახულია ინსტიტუციური ხედვა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტთან დაკავშირებით და ნათლად არის ფორმულირებული როგორც ცოდნისა და პრაქტიკული უნარების, ასევე მათი დასაქმების კონტექსტში გამოყენების თვალსაზრისით. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტშიც. თუმცა, პროგრამა საჭიროებს მეტი ძალისხმევის გამოჩენას როგორც სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვის, ასევე უცხოელი სპეციალისტების მეტი ჩართულობის თვალსაზრისით. თუმცა, ამის საჭიროება გააზრებული აქვს პროგრამის ხელმღვანელსა და სკოლის ადმინისტრაციას და ეს საკითხი ასახულია კიდეც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში. ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ორმა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო გაცვლით პროგრამაში; შესაბამისად, ჰუმანიტარულ სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით და შესაძლებელია მისი გამოყენება საბაკალავრო საფეხურზე უფრო ინტენსიურად.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამის ხელმღვანელი სრულყოფილად ფლობს ინფორმაციას როგორც პროგრამის შინაარსთან, ასევე მისი ადმინისტრირების სპეციფიკასთან დაკავშირებით. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალიც კარგად იცნობს პროგრამას.

პროგრამის მიზანში მოცემულია, რომ დამატებითი სპეციალობის სახით მასწავლებლის მომზადების პროგრამის არჩევისა და დასრულების შემთხვევაში ბაკალავრს ეძლევა პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღსანიშნავნია, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამა წარმოადეგენს რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამას და მისი განხორციელება შესაძლებელია აკრედიტაციის გზით შესაბამისი პროცედურების გავლის შედეგად. 2016 წლიდან ამოქმედდა ახალი დარგობივი მახასიათებელი, რომლის შესაბამისად, შეიცვალა რპოგრამაზე დაშვების წინაპირობები და ამ წინაპირობების მიხედვით პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ანუ საბაკალავრო სტუდენტისათვის, პროგრამაში ინტეგრირებული სახით მიწოდება მასწავლებლის მომზადების პროგრამის შემთხვევაში ვერ მოხდება. და ვერც დამატებითი სპეციალობის დამთავრებული პირი მუშაობას ვერ დაიწყებს პედაგოგად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. დაწესებულებას არ აქვს მასწავლებლის მომზადების დამატებითი სპეციალობა აკრედიტებული სახით. ხოლო მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებამ გაიარა აკრედიტაცია 2016 წელს (რომელსაც ამ პროგრამის ფარგლებში ვერ შესთავაზებს სტუდენტს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის მიზნიდან უნდა იყოს ამოღებული ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის მისია: https://www.ug.edu.ge/ge/mission-vision
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის მისია: https://www.ug.edu.ge/public/storage/%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%90/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%92%e1%83%98%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98%20%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%95%e1%83%98%e1%83%97%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1%20%e1%83%92%e1%83%a0%e1%83%ab%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%95%e1%83%90%e1%83%93%e1%83%98%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%98%20(2014-2020%20%e1%83%ac%e1%83%ac)%20%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%a5%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%93%e1%83%9d%20%e1%83%92%e1%83%94%e1%83%92%e1%83%9b%e1%83%90.pdf
- ინტერვიუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზანი მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მასწავლებლის მომზადების დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების შესაძლებლობის ნაწილში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის მიზნების ფორმულირების პროცესი ეყრდნობოდეს ბაზრის კვლევისა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონტექსტში არსებული ანალოგიური პროგრამების შედარების (ე.წ. ბენჩმარკინგის) კონკრეტულ დოკუმენტს. პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალი ნამდვილად ფლობს შესაბამის ინფორმაციას, მაგრამ სასურველია ამ ცოდნის კონკრეტულ დოკუმენტში დაფიქსირება, რაც ხელს შეუწყობს ინსტიტუციური მეხსიერების შექმნას და ყოველ მომდევნო ეტაპზე აკადემიურ პერსონალს ექნება ღირებული დოკუმენტი, რომელიც დაეხმარება ინფორმირებული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებაში. არსებული დოკუმენტი ასევე დაეხმარება პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ პერსონალს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხზე მუშაობის პროცესში, რათა უკეთ გაიაზრონ საერთაშორისო პრაქტიკა, შეაფასონ არსებული მდგომაროება და დაგეგმონ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად აუცილებელი ინიციატივები და სტრატეგიები.
- სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულების უნივერსიტეტის

ძალისხმევის გაძლიერება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამაში კარგად არის ფორმულირებული ინგლისური ფილოლოგიის დარგის ინტერდისციპლინური ხასიათი და პროგრამის მიზნებიც ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული ინტერდისციპლინური პერსპექტივის ჭრილში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და უმეტესად შეესაბამება ინგლისური ფილოლოგიის დარგის საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგები თანმიმდევრულია, შეესაბამება პროგრამაში ფორმულირებულ მიზნებს და ითვალისწინებს დარგისათვის აუცილებელი ძირითადი ცოდნის მიწოდებასა და უნარ-ჩვევების განვითარებას. პროგრამაში შესული სასწავლო კურსების გარკვეული კომპონენტების (მაგ. საბაკალავრო ნაშრომი, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული პროექტები და ა.შ.) მეშვეობით პროგრამა დიდ ყურადღებას აქცევს სტუდენტის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

პროგრამის სწავლის შედეგები უმეტესად რეალისტური და მიღწევადია; პროგრამაში მოცემულია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მეთოდები - სწავლა-სწავლების მეთოდები, რომელთა მიზანია პროგრამაში ფორმულირებული მიზნების

მიღწევის ხელშეწყობა. ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსის შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. დოკუმენტში ,,ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია" აღწერილია პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, როგორიცაა, მაგ. ყოველკვირეული შეფასება, შუალედური გამოცდები დასკვნითი გამოცდები, კურაცია, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კითხვარი, დამსაქმებლის კითხვარი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კითხვარი და ა.შ. პროგრამის სწავლის შედეგების შემოწმება, გაზომვა და ანალიზი ხდება სემესტრის განმავლობაში და წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს ხედვა და ნათლად ფორმულირებული პოლიტიკა, როგორ შეიძლება სწავლის ცალკეული შედეგის გაზომვა და პრაქტიკაში ხორციელდება კიდეც სწავლის შედეგებზე დაკვირვება.

პროგრამის სწავლის შედეგები უმთავრესად შეესაბამება როგორც კვალიფიკაციის საბაკალავრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ასევე დარგის სპეციფიკას. სწავლის შედეგების უმეტესობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს (პროგრამის დარგის სპეციფიკასთან და საბაკალავრო საფეხურის შინაარსობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე უფრო დეტალური განხილვა მოცემულია მეორე სტანდარტის შეფასებაში). სასწავლო კურსები ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის შეთავაზებული სასწავლო წლების მიხედვით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ინგლისური ენის მისაღწევი კომპეტენციის დონედ დადგენილია C1 დონე. ამ შემთხვევაში, ენობრივი კომპეტენციის თითოეული დონისათვის სასურველი სამუშაო (სწავლებისა და დამოუკიდებელი მუშაობის კომბინაცია) მოცულობის დადგენის მიზნით, სასურველია, ვიხელმძღვანელოთ კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელო რეკომენდაციებით, რომელიც ეფუძნება უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპულ ჩარჩოს (CEFR[1]) და რომლის მიხედვითაც B1 დონეზე საჭიროა 350-400 საათი, B2 დონეზე - 500-600 საათი, ხოლო C1 დონეზე კი - 700-800 საათი[2]. ინგლისური ფილოლოგიის მოცემულ საბაკალავრო პროგრამაში თითოეული ამ საფეხურისათვის გამოყოფილია 6 კრედიტი (ECTS), რაც არის 150 საათი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში შეთავაზებულია ინგლისური ენის სხვა პრაქტიკული კურსები, მაგალითად TOEFL-სა და IELTS-ის გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსები, სხვა სასწავლო კურსები უმეტესად ისწავლება ქართულ ენაზე და პროგრამის ამ სტრუქტურისა და შინაარსის პირობებში, ვფიქრობთ, რომ პროგრამის ინგლისური ენის სწავლის შედეგად C1 ენობრივი კომპეტენციის მიღწევა რთული იქნება. რა თქმა უნდა, ცალკეული სტუდენტის შემთხვევაში ამის მიღწევა შესაძლებელია; თუმცა, ვფიქრობთ, რომ სტუდენტების უმეტესობა ამ შედეგს ვერ მიაღწევს ამ ეტაპზე პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსების მეშვეობით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ანკეტა, სადაც აბიტურიენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ეროვნულ გამოცდებზე

[1] უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩო - Common European Framework of Reference for Languages: https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions

[2] Cambridge Assessment English: https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions

ინგლისურ ენაში არის 75 პროცენტი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, რთულია 5 სასწავლო კურსით სტუდენტმა მიაღწიოს C1 ენობრივი კომპეტენციის დონეს.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და ასევე, სტუდენტს აძლევს სათანადო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციას, სწავლა გააგრძელოს მომდევნო საფეხურებზე.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულია დაინტერესებული მხარეები - პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, ხარისხის სამსახური, სტუდენტები და დამსაქმებლები, რაც დასტურდება როგორც თვითშეფასების ანგარიშით, ასევე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებით. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ როგორც პროგრამაზე ჩარიცხვის, ასევე ცალკეული სასწავლო კურსის დაწყებისას სტუდენტები ეცნობიან პროგრამითა და სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა, შესწავლა და მონიტორინგი მიმდინარეობს უწყვეტ პროცესში, რომლის მიზანია არსებული მდგომარეობის შესწავლა და პროგრამის განვითარება. როგორც ზემოთ აღინიშნა, სწავლის შედეგების შეფასებისას ხდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება, თუმცა სასურველია სწავლის შედეგების გამსხვილება და ცალკეული ნიშნულების განსაზღვრა, რის შედეგადაც პროცესი გახდება უფრო კომპლექსური და ანალიტიკური და გააიოლებს სამიზნე ნიშნულების მონიტორინგისა და მათი დადარების პროცესს. ზოგადად, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და ისინი ჩართული არიან ამ პროცესში. ამ პროცესში ასევე ჩართული არიან პოტენციური დამსაქმებლები და ისინი მონაწილეობას იღებენ შეფასების პროცესში. სტუდენტების ჩართულობაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ეფექტურობას. პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურთან, სტუდენტებთან ინტერვიუს, ასევე თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწავლის შედეგების ანალიზი გამოიყენება პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით - მაგალითად, საკონტაქტო საათების გაზრდა, კონკრეტული სასწავლო კურსების შეთავაზება (მაგ. IELTS და TOEFL მოსამზადებელი კურსები), გარკვეული სასწავლო კურსების გაერთიანება და შესაბამისად სწავლის მიზნებისა და შედეგების გამსხვილება (მაგ. ცივილიზაციები და კაცობრიობის განვითარება) და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასება
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან

- დამსაქმებლის კითხვარი
- სასწავლო კურსის შეფასების ფორმა სტუდენტებისათვის
- სასავლო პროცესით კმაყოფილების შეფასების ფორმა სტუდენტებისათვის
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და სასწავლო პროცესის შეფასების ფორმა კურსდამთავრებულთათვის
- ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩო (CEFR)
- კემბრიჯის გამოცდების სისტემა
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ

რეკომენდაციები:

- აუცილებელია პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების გამსხვილება, რის შედეგადაც შემცირდება მათი რაოდენობა; ეს კი შესაძლებლობას მისცემს პროგრამის ხელმძღვანელს უფრო ეფექტურად იმუშაოს სწავლის კონკრეტული შედეგის შეფასებაზე, გაზომვაზე და საჭიროების შემთხვევაში სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად აუცილებელი სტრატეგიის შემუშავებაზე. პროგრამისათვის შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასებისა და გაზომვის გზები, თუმცა სასურველია უფრო დეტალური და კომპლექსური მიდგომა და პროცესის მეტი ფორმალიზება, რომ სწავლის ცალკეული შედეგისათვის იყოს შედეგის გაზომვის კონკრეტული მექანიზმი.
- აუცილებელია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგი ინგლისური ენის ფლობის ენობრივი კომპეტენციის კუთხით. ჩვენი აზრით, უფრო რეალისტურია B2 დონეს დაეთმოს ორი სემესტრი და სტუდენტის პროგრამის სწავლის შედეგად განისაზღვროს მაქსიმუმ B2+ დონე. ერთიანი ეფროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით B2+ დონე საკმარისია, რათა სტუდენტმა სწავლა გააგრძელოს მომდევნო საფეხურზე (მაგ. მაგისტრატურის საფეხური). ევროლული უნივერსიტეტების უმრავლესობაც სამაგისტრო საფეხურზე მიღების წინაპირობად განსაზღვრავენ 6.5 ქულას, რაც შეესაბამება B2 დონეს[3]. მართალია, ზოგიერთი უნივერსიტეტი ითხოვს 7.0 ქულას, რაც შეესაბამება C1 დონეს, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში ასევე უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთიანი ევროპული ჩარჩოს (CEFR) მოთხოვნებით, რომლის მიხედვითაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, C1 დონის მისაღწევად აუცილებელია 700-800 საათი; მოცემული საბაკალავრო პროგრამა კი არ ითვალისწინებს პრაქტიკული ინგლისური ენის ამდენ საათს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს TOEFL-სა და IELTS-ის გამოცდებისათვის მოსამზადებელ გამოცდებს, რაც პროგრამის სწავლის შედეგების თვალსაზრისით ღირებულია პრაქტიკაა და სტუდენტს აძლევს მეტ შანსს როგორც დასაქმების, ასევე პროფესიული განვითარების კუთხით.
- ასევე, დადებითი პრაქტიკაა ცალკეულ სასწავლო კურსში ჩაჭრილი სტუდენტების

[3] IELTS-სა და CEFR-ის შედარება - IELTS and the CEFR: https://www.ielts.org/ielts-for-organisations/common-european-framework

გამოკითხვა, რაც მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესისათვის - რამდენად რეალისტურია ცალკეული სწავლის შედეგი და ასახავს თუ არა იგი საშუალოს ტუდენტის შესაძლებლობას, რადგან რეკომენდირებულია, სწავლის შედეგები განისაზღვროს საშუალო შესაძლებლობებისა და კომპეტენციის სტუდენტების ძირითადი ჯგუფის შედეგების და არა გამორჩეული ცოდნისა და უნარების მქონე სტუდენტების მცირე ჯგუფის შედეგების მიხედვით. ჩაჭრილი სტუდენტების გამოკითხვა კი მნიშვნელოვანია გაიზომოს, რამდენად რეალისტურია სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების ფორმატი და ა.შ. ასევე, ეს პრაქტიკა ღირებულია დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების დასახმარებლად აუცილებელი მიდგომების შემუშავების კუთხით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში მოცემულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე. დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამაზე ჩაირიცხოს სათანადო ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის კანდიდატები. დაშვების წინაპირობები ლოგიკურია და ითვალისწინებს როგორც პროგრამის, ასევე ცალკეული სასწავლო კურსების სპეციფიკას. პროგრამაზე დაშვების ენობრივი კომპეტენციის წინაპირობა პროგრამაში არ არის მოცემული, თუმცა უნივერსიტეტმა წარმოადგინა ერთიანი ეროვნული გამოცდების ანკეტა-კითხვარი, სადაც ინგლისური ენის მინიმალურ ზღვრად დადგენილია 75 პროცენტი, რაც უზრუნველყოფს, რომ პროგრამაზე ირიცხებიან შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენვიის მქონე კანდიდატები. პროგრამის მიერ განსაზღვრული დაშვების წინაპირობები და პროცესები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანია, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ○ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები ○ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ დოკუმენტი ,,ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია“ ○ უსდ-ს მიერ 2017-2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ანკეტა-კითხვარი ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან ○ ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან ○ ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მეტი საჯაროობისა და სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით მეტი გამჭვირვალობის მიზნით მინიმალური ენობრივი კომპეტენციის დონე მითითებული იყოს პროგრამაში, რათა დაინტერესებულ მხარეებმა უფრო იოლად შეძლონ ამ კონკრეტული ინფორმაციის მოძიება.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-მ წარმოადგინა დოკუმენტი ,,ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია“, სადაც აღწერილია პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ამ მეთოდოლოგიასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს, ასევე თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამა შედგენილია და ხორციელდება ხსენებულ დოკუმენტში განსაზღვრული პროცესებისა და ეტაპების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი

კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის შინაარსში და ცალკეულ სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და მთელი პროგრამა აგებულია ამ ძირითადი წინაპირობის (კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენცია) ლოგიკის შესაბამისად.

პროგრამა მოიცავს ინგლისური ფილოლოგიის დარგში სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს და მათი შინაარსი და მოცულობა, ასევე ფორმატი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს (სასწავლო კურსების შინაარსი დეტალურად არის განხილული სტანდარტში 2.3.); ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებს ეთმობა 174 კრედიტი - სპეციალობის ძირიდათი სასწავლო კურსებზე გამოყოფილია 150 კრედიტი, რომელშიც შედის საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და მას ეთმობა 12 კრედიტი; 24 კრედიტი კი ეთმობა მეორე ევროპული ენის შესწავლას, რომელიც არის პროგრამის არჩევითი კომპონენტი. პროგრამაში თავისუფალ კომპონენტზე გამოყოფილია 6 კრედითი, ხოლო დანარჩენი მოცულობა (60 კრედიტი) ეთმობა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. თუმცა, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, უსდ-ს არ აქვს შესაძლებლობა სტუდენტებს შესთავაზოს 240 კრედიტიან პროგრამაში ინტეგრირებული მასწავლებლის მომზადების პროგრამა. შესაბამისად, აუცილებელია ამ თვალსაზრისით გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტი ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის დალაგებული. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური და განსაზღვრული ცალკეული სასწავლო კურსისათვის. ეს სპეციფიკა მოცემულია პროგრამაში და საჯარო არის ხელმისაწვდომი. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი იცნობენ როგორც პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს, ასევე კონკრეტული სასწავლო კურსისათვის დადგენილი წინაპირობის ლოგიკას.

პროგრამა აგებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; თუმცა, ყველა სასწავლო კურსისათვის განსაზღვრულია იდენტური მოცულობა - ყველა სასწავლო კურსს ეთმობა 6 კრედიტი (ECTS), გარდა კვლევის კომპონენტისა (საბაკალავრო ნაშრომი ინგლისურ ფილოლოგიაში), რომელზეც გამოყოფილია 12 კრედიტი. სრულიად მისაღები და გასაგებია ლოგიკა, რომ პროგრამის ადმინისტრირების თვალსაზრისით გაცილებით ხელსაყრელია ყველა სასწავლო კურსი იყოს თანაბარი მოცულობის, მაგრამ მაინც ვთვლით, რომ უმჯობესია, გადაიხედოს კრედიტების გადანაწილების ლოგიკა თეორიული და პრაქტიკული კურსებისათვის, რადგან კონრეტული სასწავლო კურსი შეიძლება საჭიროებდეს სპეციფიურ მიდგომას. რაც შეეხება პროგრამის გაფორმების ტექნიკურ მხარეს, პროგრამაში დაანგარიშებულია ყველა თავისუფალი კრედიტი და მოცემულია მათი საერთო მოცულობა - 54 კრედიტი; რეალურად კი თავისუფალ კომპონენტზე გამოყოფილია 6 კრედიტი. ასევე, პროგრამის თავისუფალ კომპონენტში მოცემულია სასწავლო კურსების ჩამონათვალი. პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია პროგრამის ადმინისტრირების ეფექტურობის მიზნით ჰქონდეს ეს ჩამონათვალი, მაგრამ პროგრამაში შეუძლებელია კონკრეტული სასწავლო კურსების დაფიქსირება, რადგან თავისუფალი კომპონენტი გულისხმობს, რომ სტუდენტს აქვს უფლება, აირჩიოს უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებული სასწავლო კურსები და ყველა ამ სასწავლო კურსის შეტანა პროგრამაში წარმოუდგენელია. თუმცა, ეს საკითხი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ტექნიკური ხასიათის. იგივე ეხება სავალდებულო ასარჩევ სასწავლო კურსებს. მათზე გამოყოფილია 24 კრედიტი, პროგრამში კი მითითებულია 96 კრედიტი. ეს საკითხიც

ტექნიკური ხასიათისაა.

პროგრამა ნამდვილად ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მათი შინაარსი ასახულია კონკრეტულ სასწავლო კურსებში - ენის ისტორია, ენათმეცნიერების შესავალი, კულტურული ანთროპოლოგიის საფუძვლები და ა.შ.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალი კომპონენტის არჩევითობას; თუმცა, თავისუფალ კომპონენტს ეთმობა 6 კრედიტი, რაც ჩვენი აზრით გადასახედია და შესაძლებელია თავისუფალი კომპონენტის მოცულობის გაზრდა, რათა პროგრამა გახდეს უფრო მოქნილი და უკეთ გაითვალისწინოს ინდივიდუალური სტუდენტის მოთხოვნები თუ საჭიროებები.

თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის შეფასების ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში მეტ-ნაკლები ინტენსივობითა და მოცულობით ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ისინი იცნობენ პროგრამის სპეციფიკასა და ადმინისტრირების დეტალებს.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს დაბრკოლების გარეშე შეუძლია მისი ნახვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები
- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან
- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებულია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; თუმცა, საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ განხორციელებული ცვლილების შედეგად უსდ-ს არ აქვს შესაძლებლობა მოცემული პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესთავაზოს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა; შესაბამისად, აუცილებელია ამ თვალსაზრისით პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა.
- აუცილებელია პროგრამის სტრუქტურის გადახედვა, რადგან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას სტუდენტები ვერ აირჩევენ დამატებითი სპეციალობის სტატუსით. შესაბამისად, პროგრამაში უნდა დაიგეგმოს, რა სასწავლო კურსებისა და კომპონენტების შეთავაზება შეიძლება სტუდენტებისათვის 60 კრედიტის ფარგლებში.
- აუცილებელია, გადაიხედოს სასწავლო კურსების მოცულობა და თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს მიენიჭოს განსხვავებული კრედიტები. თუმცა, ეს არ არის მხოლოდ ტექნიკური საკითხი, რომელიც გულისხმობს სწორხაზოვან მიდგომას; შესაბამისად, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სასწავლო კურსების ჯგუფებში სპეციფიურ სასწავლო კურსებს შეიძლება მიენიჭოს განსხვავებული კრედიტი სასწავლო კურსის შინაარსისა და

სწავლა-სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ცალკეულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა არ არის ასახული პროგრამის დაბეჭდილ ვერსიაში; თუმცა, პროგრამის ელექტრონულ ვერსიაში ნამდვილად არის წარმოდგენილი კურსებზე დაშვების წინაპირობა და მათი თანმიმდევრობა. შესაბამისად, სასურველია დაბეჭდილ ვერსიაშიც იყოს ეს ინფორმაცია მოწოდებული, რათა, იმ შემთხვევაში, თუ დაინტრესებულ მხარეს წვდომა აქვს მხოლოდ დაბეჭდილ ვერსიაზე, მან შეძლოს სრულყოფილი ინფორმაციის მიღება პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შესახებ.
- სასურველია პროგრამის თავისუფალი კომპონენტიდან კონკრეტული სასწავლო კურსების ჩამონათვალის ამოღება, რადგან სტუდენტს აქვს სრული თავისუფლება, აირჩიოს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სასწავლო კურსი და შესაბამისად, არ არის კურსების ჩამონათვალის არსებობის აუცილებლობა; აქვე, თავისუფალ კომპონეტზე მითითებული 54 კრედიტის ნაცვლად უნდა მიეთითოს 6 კრედიტი, რადგან რეალურად სწორედ 6 კრედიტი არის გამოყოფილი ამ კომპონენტზე. იგივე ეხება სავალდებული არჩევით კომპონენტს, სადაც 96 კრედიტის ნაცვლად უნდა მიეთითოს 24 კრედიტი (მეორე უცხო ენის სავადებულო არჩევითი კომპონენტი).
- სასურველია თავისუფალი კომპონენტის მოცულობის გაზრდა, რაც უფრო მოქნილს გახდის პროგრამას. ეს შესაძლებელია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი 60 კრედიტის ხარჯზე, რადგან პროგრამაში აღარ არის შესაძლებელი ინტეგრირებული პროგრამის განხორციელება; შესაბამისად, 60 კრედიტის ფარგლებში შეიძლება პროგრამის დახვეწა მოქნილობის თუ შინაარსობრივი მხარის კიდევ უფრო გაუმჯობესების კუთხით.
- რაც შეეხება პროგრამის მეშვეობით მინიჭებულ კვალიფიკაციას, შეიძლება მისი დაკონკრეტება; შესაბამისად, მათი მიზნების, ამოცანებისა და ხედვის შესაბამისად, თუ პროგრამის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის მისაღებია, შეიძლება მისანიჭებელი კვალიფიკაციის დაკონკრეტება - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ასევე, ცალკეული სასწავლო კურსის შინაარსი უმთავრესად შეესებამება სწავლის შედეგებსა და საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებსა და სპეციფიკას. კრედიტების შესაბამისად სწორად და ლოგიკურად არის დათვლილი დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების თანაფარდობა. თუმცა, ყველა სასწავლო კურსი ლოგიკურად არის აგებული, ითვალისწინებს დარგისა და სწავლა-სწავლების სპეციფიკას, სტრუქტურულად გამართულია, მაინც ვფიქრობთ, რომ პროგრამის დახვეწის მიზნით შესაძლებელი არის კრედიტების გადანაწილების ლოგიკისა და სისტემის გადახედვა, რადგან ყველა სასწავლო კურსს ეთმობა 6 კრედიტი. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ყოველ სასწავლო კურსში სწორად არის დაანგარიშებული, მაგრამ, როგორც აღინიშნა, სასურველია გადაიხედოს თავად კრედიტების მოცულობა. ასევე, ბევრ სასწავლო კურსში მოცემულია შეფასების მსგავსი მეთოდი და მათი აღწერილობა ხშირად იდენტურია სხვადასხვა სილაბუსში. სტანდარტიზაციის თვალსაზრისით ეს საკმაოდ კარგი მიდგომაა, მაგრამ სასურველია ზოგადად გადაიხედოს შეფასების სისტემა (ქულების გადანაწილება კომპონენტების მიხედვით) და მეთოდები (სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით); გარდა ამისა, ბევრ სილაბუსში მოცემულია (მაგალითად, ინგლისური ენა ფილოლოგებისათვის, ინგლისური ლიტერატურა II და ა.შ.) კონკრეტული ქულის პროცენტული შეფასების სისტემა. მაგალითად, დავალებისათვის გამოყოფილია 5 ქულა და ხდება მისი შეფასება 100, 75, 50 და ა.შ. პროცენტით. ვთვლით, რომ ეს სისტემა გარკვეულწილად მოუქნელია როგორც ლექტორისათვის, ასევე სტუდენტისათვის. შესაძლებელია ქულების ჩაშლა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით, რათა სტუდენტმა იცოდეს, რა მოთხოვნებია 5, 4, 3 და ა.შ. ქულების შემთხვევაში. 5-ის 75% პროცენტის დაანგარიშების აუცილებლობაც მოიხსნება. რა თქმა უნდა, სისტემას ავტომატურად შეუძლია ამის დათვლა, მაგრამ უბრალოდ ქულების მიხედვით გადანაწილება უფრო გამჭვირვალე შეფასებად მიგვაჩნია. მიუხედავად ამ მოსაზრებისა,

საჭიროა დავაფიქსიროთ, რომ პროგრამაში მოცემული ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის გაზომვისა და შეფასების მეთოდი.

რაც შეეხება შინაარსს, აუცილებლად გადასახედია სასწავლო კურსის ,,MATH1214 საკვლევის რაოდენობრივი მეთოდების საფუძვლები"; კურსის შინაარსის გულდასმით გაცნობის შედეგად დავასკვენით, რომ ეს კურსი სრულად შეუსაბამოა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის, რადგან ის ორიენტირებულია მათემატიკის სპეციალობის სტუდენტებზე და კურსში არაფერია ნათქვამი ენათმეცნიერების, გამოყენებითი ენათმეცნიერების, კორპუს ლინგვისტიკის და ა.შ. კვლევის რაოდენობრივი მეთოდების შესახებ. თავად კონცეფცია, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის არსებობა პროგრამაში მისასალმებელი პრაქტიკაა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ კურსის შინაარსი ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო (სავალდებულო თუ დამატებითი) ლიტერატურა ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს და შეესაბამება როგორც სწავლის მიზნებს, ასევე სწავლა-სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკის დათვალიერების დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოვითხოვეთ სილაბუსში მითითებული სახელმძღვანელო და ბიბლიოთეკა ფლობს ყველა მათგანს. პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის ბიბლიოთეკა ფლობს ყველა საჭირო სასწავლო რესურსს - ელექტრონულს თუ დაბეჭდილ მასალებს. სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე, რაც უზრუნველყოფს მათთვის დარგის თანამედროვე მიღწევებისა და ცოდნის გაზიარებასა და გაცნობას. ბიბლიოთეკაში ასევე არის ტესტური დავალებების დიდი მონაცემთა ბაზა, რომელსაც თავად პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ქმნის სტუდენტებისათვის. შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ ძალიან მოქნილი და თანამედროვე მონაცემთა ბაზები, რისი მეშვეობითაც ისინი იღებენ დამატებით პრაქტიკას ინგლისური ენის დაუფლების კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები
- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან
- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინფრასტრუქტურისა და რესურსების დათვალიერების შედეგები

რეკომენდაციები:

- აუცილებელია კვლევის რაოდენობრივი მეთოდების სასწავლო კურსის მოდიფიცირება, რათა მასში აისასხოს დარგის სპეციფიკა. ამ ტიპის კურსის არსებობა აუცილებელია, რადგან სტუდენტებმა უნდა შეასრულონ საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც ითავლისწინებს კვლევით კომპონენტს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სასწავლო კურსში ინტეგრირებული გარკვეული კვლევითი კომპონენტი, აუცილებელია ისეთი სასწავლო

კურსის არსებობა, რომელის სტუდენტებს გააცნობს დარგის კვლევისა და საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის სპეციფიკასა და მოთხოვნებს. ○ აუცილებელია კრედიტების გადანაწილების მიდგომის გადახედვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია შეფასების კომპონენტების, სისტემისა და მეთოდების გადახედვა, რათა სტუდენტის შეფასება გახდეს უფრო მოქნილი, გამჭვირვალე და ობიექტური. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით ფაკულტეტი ქმნის ტესტებისა და დავალებების მონაცემთა ბაზას, რისი მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ დამოუკიდებლად იმუშაონ საკუთარ თავზე და მიიღონ დამატებითი პრაქტიკა. ბაზა განსაკუთრებით ეფექტურია, რადგან იგი იქმნება განვილილი მასალის შესაბამისად, რაც მას განასხვავებს ონლაინ რესურსებისაგან, რასაც უხვად გვთავაზობს სხვადასხვა გამომცემლობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და თეორიული ცოდნის მიწოდებას თეორიული და პრაქტიკული კურსების სინთეზის მეშვეობით. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს დარგის ინტერდისციპლინურ ხასიათზე, რაც ასახულია კიდეც პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში ცალკეული სასწავლო კურსის მიზნების, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების მეშვეობით. პრაქტიკული კომპონენტი გააზრებულია, თუმცა ამ შემთხვევაშიც უნდა ვახსენოთ, რომ ინგლისურ ენაში C1 ენობრივი კომპეტენციის მიღწევის საკითხი კარგ ანალიზს და გადახედვას საჭიროებს.

ასევე მნიშვნელოვანია პროგრამის სასკოლო/სასწავლო პრაქტიკის ელემენტი. სასკოლო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა სტუდენტს აქვს იმ შემთხვევაში თუ გაივლის მასწავლებლის მომზადების პროგრამას. თუმცა, როგორც ზემოთ გავაანალიზეთ, მოცემულ ფორმატში პროგრამა ამ შესაძლებლობას ვერ მისცემს სტუდენტს. შესაბამისად, პროგრამის სტურქტურის გადააზრების შედეგად (ზემოთ მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად) სასურველია, პროგრამას დაემატოს სასკოლო/სასწავლო პრაქტიკის (სკოლა, თარჯიმანთა ბიურო, ენათა ცენტრი ან სხვა) გავლის შესაძლებლობა. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ბევრი მათგანი დასაქმებულია პედაგოგიური მიმართულებით ან სურვილი გააჩნია, იმუშაოს ამ სპეციალობით. სტუდენტებმა ასევე გამოთქვეს პედაგოგიური პრაქტიკის დანერგვის სურვილი.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხა სასწავლო თუ საგამომცემლო დაწესებულებასთან. მემორანდუმში ასახულია თანამშრომლობის პრინციპები და პირობები, თუმცა მითითებული არ არის სტუდენტების რაოდენობა და კონკრეტული ხანგრძლივობა.

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სასკოლო/საველე/სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის დამატება პროგრამაში, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, წინასწარ გაეცნობ პედაგოგიურ თუ დარგთან დაკავშირებულ სხვა გარემოს.
- სასურველია მემორანდუმებში სტუდენტების რაოდენობის და მემორანდუმის მოქმედების ვადის დაკონკრეტება, რათა პგორამის დაგეგმვის პროცესში მოხერხდეს პრაქტიკის ყველა

კომპონენტის წინასწარ დაგეგმვა და გათვალისწინება. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრე პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს, კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამითა და სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლა-სწავლების მეთოდები დაგეგმილია და შემუშავებულია სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან საუბრისას დადასტურდა, რომ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დამატებითი კონსულტაცია მიიღონ ლექტორისაგან, ან სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე ლექტორმა დაგეგმოს კონკრეტული დავალება, მეთოდი ან მიდგომა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებისა (05.01.07) და საქარველოს უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით. სტუდენტები ფასდებიან 100 ქულით, შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებით. შუალედური შეფასების ფორმები მრავალფეროვანია და მოიცავს ყოველკვირეულ

შეფასებას, რეფერატს ან/და პრეზენტაციას, შუალედურ გამოცდას/კოლოქვიუმს და ა.შ შუალედური შეფასებები ხორციელდება სკოლის მიერ, ხოლო ფინალურ შეფასებას ადმინისტრირებას უწევს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური. სილაბუსებში მოცემულია შეფასების სისტემა, შეფასების კონპონენტები, მათი ხვედრითი წილი და მინიმალური ზღვარი. სტუდენტების ნაშრომები სწორდება და ფასდება „ონლაინ UG“-ს საშუალებით, სტუდენტები შეფასებას და კომენტარებს თავიანთი ნაშრომის შესახებ იღებენ „ჩემი UG“ პორტალის საშუალებით (სტუდენტების კონსულტაციის შესახებ იხილეთ 3.1). სტუდენტები იცნობენ შეფასების სისტემას. მიღებული შეფასებით უკმაყოფილების შემთხვევაში ფლობენ ინფორმაციას გასაჩივრების პროცედურების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში • უნივერსიტეტის ვებ გვერდი • ინტერვიუს შედეგები დაინტერესებულ მხარეებთან • ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა • პროგრამის სილაბუსები • საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სალექციო მასალის გამოკითხვის სახე სილაბუსების უმეტესობაში არის წერილობითი სახით (მაგ. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, თარგმანის თეორია, ინგლისური ლიტერატურა 1, 2 და ა.შ). პროგრამის გაუმჯობესებისა და სტუდენტების მოტივაციის გაზრდისთვის სასურველი იქნებოდა დისკუსიების და სხვადასხვა აქტივობების ჩართვა. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან საონსულტაციო საათებით, რაც გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული წერსონალის დატვირთვის სქემაში. კონსულტაციის გრაფიკი ყოველი სემესტრის დასაწყისში განთავრებულია დეპარტამენტის და საპროფესოროს კარზე. სასურველია კონსულტაციის დრო და ადგილი ასახული იყოს სილაბუსებშიც. რაც შეეხება სასწავლო პროცესში უკუკავშირით უზრუნველყოფას, როგორც უკვე 2.6 პუნქტში აღინიშნა, სტუდენტების ნაშრომები მოწმდება და ფასდება ელექტრონულ პორტალზე, სადაც შეფასების თოთოეულ კომპონენტში სტუდენტი იღებს კომენტარს და დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზების შესახებ რჩევებს. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია ხშირად დასმული კითხვების (FAQ) სექცია, სადაც მოცემულია იმ ძირითად საკითხებზე პასუხები, რაც შესაძლოა სტუდენტს გაუჩნდეს სასწავლო პროცესში (სწავლის საფასური და სტუდენტის სტატუსი, სასწავლო

პროცესი, სტუდენტის სტატუსი, გამოცდები და ა.შ). ამასთან, სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიღებისა და უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან დაკავშირების წყაროს წარმოადგენს ელ-ფოსტა. „ჩემი UG“ საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ გამოითხოვონ საჭირო დოკუმენტაცია. სტუდენტები სასწავლო პროცესში პროგრამის ადმინისტრაციისა და ზოგადად უნივერსიტეტის მხარდაჭერას ადასტურებენ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა დასაქმების სამსახური. სტუდენტები ადასტურებენ ამ სამსახურის მიერ განხორციელებულ აქტივობებში (ტრენინგები, დასაქმების ფორუმები) მონაწილეობას. ამასთან, უკვე დასაქმებული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სამსახური დეპარტამენტის მხარდაჭერით და მათი რეკომენდაციის საფუძველზე დაიწყეს. გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი და საჯაროა, თუმცა სტუდენტთა მონაწილეობა ძალიან მცირეა (1 სტუდენტი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ○ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში ○ თან დართული დოკუმენტაცია ○ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია გაღრმავდეს საერთაშორიოსო თანამშრომლობა, რაც აისახება გაცვლით პროგრამებში სტუდენტების უფრო აქტიურ მონაწილეობაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია კონსულტაციის დრო და ადგილი ასახული იყოს სილაბუსებშიც. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური (აკადემიური პერსონალი) და მატერიალური რესურსი (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და მისი წიგნადი ფონდი შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევას. კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 აფილირებული პროფესორი, 13 აფილირებული ასოცირებული

პროფესორი, 10 მოწვეული სპეციალისტი, (მათ შორის 2 უცხოელი სპეციალისტი), რომლებიც მონაწილეობას იღებენ ინგლისური და იტალიური ენების სწავლების პროცესში), სულ - 31 ადამიანი. თითოეულ მათგანს აქვს შესაბამისი აკადემიური ხარისხი და/ან აუცილებელი გამოცდილება. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიურიდა მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი 21/10 (2,10) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამას ხელმძღვანელობს პროფესორი მაია ჩხეიძე, რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში (კითხულობს სალექციო კურსებს, ორგანიზებას უკეთებს ფილოლოგთა კონფერენციებს). პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისთვის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურში, ბიბლიოთეკაში, სკოლაში (პროგრამის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, სტუდენტურ საქმეთა ცენტრში მუშაობენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შესაბამისი სამუშაოს აღწერები; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება; • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება ადმინისტრაციისა და სტუდენტების მიერ. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს კითხვარების შემუშავებას სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების მიზნით, რომელსაც ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები ავსებენ ანონიმურად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შეფასების კითხვარების შედეგებს ამუშავებენ და აანალიზებენ პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის დირექტორი, რომლებიც შესაბამის რეკომენდაციებს იხილავენ აკადემიურ საბჭოზე ან ინდივიდუალურად კონკრეტულ პერსონალთან. ინტერვიუირების დროს აკადემიურმა, მოწვეულმა პერსონალმა, ასევე პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურეს, რომ ისინი შესაბამისი პროცედურის დაცვით ახორციელებენ ამ პროცესს. ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია, სკოლაში განხორციელებული სასწავლო კურსისა და ლექტორების შეფასების შემუშავების, ანალიზისა და შედეგების გაცნობის პროცესში მონაწილეობდეს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას ახორციელებს უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს სახელწოდებით „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალი.“ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონტრაქტის თანახმად, პერსონალი სასწავლო საქმიანობასთან ერთად, ვალდებულია, პროფესიული განვითარების მიზნით, ყოველწლიურად მოამზადოს სულ მცირე, ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია.

უნივერსიტეტში დანერგილია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების მექანიზმები, კერძოდ, არსებობს სამეცნიერო-კვლევითი ინტიტუტის დებულება პრემიების გაცემის წესის თაობაზე, რაც აკადემიურ პერსონალს ხელს უწყობს, მოახდინონ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია. ინტერვიუირებისას აკადემიური პერსონალის მხოლოდ მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ ისარგებლეს უნივერსიტეტის დაფინანსებით. ამ მიზნით, სასურველია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა სამეცნიერო კუთხით განვითარებისა და მათი ინტერნაციონალიზაციის პროცესებში სრულფასოვნად ჩართვისთვის.

თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციით დგინდება, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულ პერსონალს ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 75 ნაშრომი; 5; საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 30 ნაშრომი; ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული აქვს 70 მოხსენება, ხოლო საერთაშორისო კონფერენციებში - 35.

ამას გარდა, სამეცნიერო კუთხით პერსონალის განვითარებას ასევე უწყობს ხელს ყოველწლიური კონფერენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და ფილოლოგიაში, პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტარდება ტრენინგები და სემინარები, რაც, ნამდვილად მისასალმებელია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერბათა სკოლის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები;
- ჩატარებული კონფერენციების კრებულები;
- სამეცნიერო- კვლევითი ინტიტუტის დებულების დანართი პრემიების გაცემის წესის შესახებ;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონტრაქტები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

სკოლაში განხორციელებული სასწავლო კურსისა და ლექტორების შეფასების შემუშავების, ანალიზისა და შედეგების გაცნობის პროფესში მონაწილეობდეს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური;

გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა სამეცნიერო კუთხით განვითარებისა და მათი ინტერნაციონალიზაციის პროცესებში სრულფასოვნად ჩართვისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. პროგრამა უზრუნველყოფილია იმ ინფრასტრუქტურით, და შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით. აღსანიშნავია კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით (პროექტორები, კომპიუტერები, უკაბელო ინტერნეტი). ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის შემადგენლობაში შედის ენის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებითა და პროგრამებით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც გამოიყენება ენობრივი კომპეტენციის სრულყოფისათვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოიპოვება უახლესი სახელმძღვანელოები და წიგნები, რაც უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალებას აძლევს, შეუფერხებლად მიიღონ საჭირო ლიტერატურა და იმუშაონ მათი პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მიმართულებით. გარდა ამისა, სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტში არსებული ისეთი ელექტრონული რესურსებით, როგორიცაა: Cambridge Journals, EBSCO, Jstor. უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის საჭირო კომპიუტერული აუდიტორიებით. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპიუტერული და ენების სასწავლო ლაბორატორიების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვასთან დაკავშირებული და სხვა ხელშეკრულებები; ○ შესაბამისი სამსახურების სამუშაოს აღწერილობები; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას გააჩნია სწავლების სრულ ციკლზე გათვლილი ფინანსური გეგმა, რომლის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები პროგრამაზე არსებულ სტუდენტთა რეალური რაოდენობის (სასწავლო წლის მიხედვით) გათვალისწინებით მიღებული შემოსავლებიდან არის დათვლილი, შესაბამისად, რეალისტურია, ეკონომიკურად მიღწევადია და მორგებულია პროგრამის საჭიროებებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან
- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური გეგმა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლას დადგენილი აქვს პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის მუდმივ მონიტორინგზე მისი შემდგომი გაუმჯობესების, სტუდენტთა საჭიროებებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ამით კურსდამთავრებულთა კონკურენტულობის მაჩვენებლის ზრდაზე და მოიცავს ხარისხის პირდაპირი (აკადემიური მოსწრების ანალიზი და სწავლის შედეგების რუკა) და არაპირდაპირი (დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი) შეფასების ფორმებს.

შიდა ხარისხის შეფასება მოიცავს სხვადასხვა გამოკითხვას და გამოკითხვის შედეგების გაანალიზების საფუძველზე ახდენს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. უფრო კონკრეტულად, შიდა ხარისხის შეფასება იყენებს პირდაპირი შეფასების შემდეგ კომპონენტებს:

ა) აკადემიური მოსწრების ანალიზი, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით პროგრამისა და სასწავლო კურსების შესახებ არსებულ მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებასა და პროცენტული განაწილების შესწავლას, რითაც დგინდება სასწავლო კურსის სირთულე, სასწავლო თემატიკის რელევანტურობა, ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების ფორმების ადეკვატურობა და სტუდენტთა მომზადების დონე. ყოველივე ეს იძლევა შესაძლებლობას, გაიზომოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიღწევები, და გაკეთდეს შესაბამისი ანალიზი და დადგინდეს პროგრამით და ცალკეული სასწავლო კურსებით განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავების ხელშემწყობი და/ან შემაფერხებელი ფაქტორები;

ბ) სწავლის შედეგების რუკა, რაც საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი ინდიკატორია და იძლევა სურათს, თუ რომელი კურსებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავება;

გ) პროგრამით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, რაც ხორციელდება ინფორმაციის შეგროვებით კითხვარების გამოყენებით, რითაც დგინდება სწავლების მეთოდების ეფექტურობა, სასწავლო ლიტერატურით სტუდენტის კმაყოფილება; რამდენად რეალური და მიღწევადია სასწავლო კურსით/პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციები და შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში როგორია სტუდენტის თვითშეფასება წარუმატებლობის მიზეზთან დაკავშირებით.

დ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევა, რაც ხორციელდება შესაბამისი კითხვარების გამოყენებით და დგინდება, თუ რამდენად უზრუნველყოფს სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა, საათობრივი დატვირთვა და გამოყენებული მეთოდები სასურველი შედეგის მიღწევას და ხომ არ არის აუცილებელი რომელიმე კომპონენტის კორექტირება.

პროგრამის განსავითარებლად გამოიყენება უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული რეკომენდაციები და რჩევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლის შედეგების რუკა;
- აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, დაწესებულებას დადგენილი აქვს პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის მუდმივ მონიტორინგზე მისი შემდგომი გაუმჯობესების, სტუდენტთა საჭიროებებსა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე მორგებისა და ამით კურსდამთავრებულთა კონკურენტულობის მაჩვენებლის ზრდაზე. შესაბამისად, უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამის ხარისხის გარე შეფასებას, რაც გულისხმობს პროგრამის კვლევას შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების პერსპექტივებიდან.

დამსაქმებელთა და ასევე პოტენციურ დამსაქმებელთა კვლევა ხორციელდება სპეციალური კითხვარების გამოყენებით და მიზნად ისახავს იმ არსებული თუ ახალი თეორიული ცოდნისა და ტრანსფერული უნარების დადგენას, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმებას უზრუნველყოფს. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამაში ხორციელდება ახალი სასწავლო კურსების დამატება ან არსებულის მოდიფიცირება. მსგავსად, უნივერსიტეტი პერიოდულად აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოძიებასა და შემდგომ ანალიზს, კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევას, რომ დადგინდეს პროგრამით გამომუშავებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დამსაქმებლის მოთხოვნებთან რელევანტურობის ხარისხთან დაკავშირებით.

დამატებით, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამასთან მიმართების წინა აკრედიტაციის ვიზიტისა დროს ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები სრულად იქნა გაზიარებული უნივერსიტეტის მიერ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმეტების

შესწავლის და ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუების შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს უნივერსიტეტმა გაითვალისწინა პროგრამის გარე ხარისხის შეფასების დროს მიღებული განმავითარებელი რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლებთა გამოკითხვის ანალიზი; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების

ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. თუმცა, ამ შემთხვევაშ უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფისა და იურიდიულმა სამსახურმა უფრო უნდა იაქტიუროს პროგრამის შეფასებისა და პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმირებისა და კონსულტაციის კუთხით. მაგალითად, ამ შემთხვევაში წარმოდგენილია პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რომლის განხორციელებაც ამ ფორმატში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლებელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები; ○ დამსაქმებელთა კვლევის შედედგები; ○ სწავლის შედეგების რუკა; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფისა და იურიდიული სამსახურის/დაწესებულების ადინისტრაციის პროგრამის ხელმძღვანელთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, რათა მოხდეს პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმირება კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელი უკეთ დაგეგმავს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის არჩევითი კომპონენტების შესაძლებლობებს და გაითვალისწინებს საკანონმდებლო მოთხოვნებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნიკოლოზ ფარჯანაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ეკატერინე ბაკარაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა სალომე ძაგნიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა



სახელი, გვარი, ხელმოწერა